სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
ავადმყოფ არტისტი ქალის კნ. ბარ. ავალიშვილის სასარგებლოდ
წარმოდგენილი იქნება
— პირველად ახალი პიესა —

## სიულივან

კომედ. 3 მოქმ. თხზ. მელვილისა, თარგ. დ. მესხისა

დასასრულ

## სცენები „მიროვოი სუდიასთან"

ერთ მოქმ. თხზ. დ. კეზელისა

მოთამაშენი: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, გალუსტოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, მესხი, შათირიშვილი, კანდელაკი, იმედაშვილი, თამაზიშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და ძ. მესხი

ადგილების ფასი დაკლებულია—ლოჟები ლიტერისა 9 მან., ბენუარისა 6 მან., პირდაპირი 4 მ. 50 კ., გვერდისა 3 მ. 50 კ. ამფითეატრი 50 კ. პარტერი: სკამი 1 რიგისა 3 მ.; 2 და 3 რიგისა 2 მ.; 4 და 5—1 მ. 50 კ.; 6, 7, 8 და 9—1 მ. 20 კ.; 10, 11 და 12—1 მ.; 13 და 14—80 კ.;—15 და 16—60 კ. გალერეა: პირდაპირი I რიგ. 40 კ., დანარჩენი 35 კ. გვერდისა I რიგ. 35 კ. დანარჩენი 25 კ.

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა

## „სახელმძღვანელო"

სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების მოწაფეთათვის

შედგ. მღვ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ
ფასი ყდით 30 კაპ.
ცალკე თითო კაპეიკი გადადება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—2)

## შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**
## І. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 80)

შეუწყნარებლად [sic] ვსთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელთაც ჩემგან წაღებული აქვთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ყულაბები, კეთილ ინებონ და დაუბრუნონ დროისით ხსენებული ყულაბები საზოგადოების კანცელარიას. ეს თხოვნა შეეხება იმათ, რომელთაც პირველად დაურიგდათ ყულაბები.
(5—3) ნინა ყიფიანისა

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა

## „კავშირი"

იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.
ეტლთა მიმოსვლა არის შედარებული მატარებლის მიმოსვლასთან.
სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.
ფასი დაწესებულია ერთი მანეთი
ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე
(15—3)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

**Докторъ медицины и хирургъ**
## БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (Ѵ.)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ძ. ვარშავსკი.
ამბულატორია ი არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


# ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებლის გამგზავრება. 7 ნოემბერს, მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი გ. ს. გოლიცინი საღამოს მატარებლით გაემგზავრა ბაქოს.

*** ბ. ავალიშვილისას შეუწირავს ქართული დრამატიული საზოგადოებისათვის თავისი ისტორიული ტანისამოსები, რომლითაც გამოდიოდა ხოლმე სცენაზე სხვადასხვა ისტორიულ პიესებში.

*** ქვაშვეთობა. დღეს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე მწირველი იქმნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ტაძრის დღესასწაულისა გამო. წირვის შემდეგ მათი მეუფება აკურთხებს ახლად აშენებულ სამრევლო სკოლას ხსენებულ ეკკლესიისას.

*** ქალაქის გასუფთავების საქმე. საგანგებო კომისია, რომელსაც შეადგენენ საგუბერნიო ექიმი ბ. ქიქოძე, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი, პოლიციელები და საბჭოს ექიმები, შეუდგა მთელი ქალაქის დათვალიერებს სანიტარული მხრით.

*** გადამდებ სენით ავადმყოფთა ფარდული. ტფილისში უკვე დაარსდა მეორე ფარდული გადამდებ სენით ავადმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დაწყებულია და ფარდული ყოველ მხრივ მორთულ-მოწყობილია. ამ ჟამად ქალაქის გამგეობა ცდილობს გამართოს საგანგებო ეტლიც გადამდებ სენით ავადმყოფთა წასაყვან წამოსაყვანად.

*** ტფილისის საბალოსნო სკოლის საქმე. 6 ნოემბერს მოხდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სხდომა, რომელმაც სხვათა შორის, განიხილა კითხვა საბალოსნო სკოლის მმართველის ამორ-

ჩვენს შესახებ, აღნიშნა სამი კანდიდატი იმ პირთაგან, რომელთაც საზოგადოებას განცხადება წარუდგინეს და დაადგინა შეკრებილ იქმნეს ცნობები აღნიშნულ პირთა შესახებ და სკოლის მმართველის არჩევნების მოხდენა მოხსენდეს სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას.

⁂ **მატარებლების დაჯახება.** 5 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, ბათუმის სადგურის ლიანდაგზე, ვაგონების მანევრების დროს, დაეჯახა ორთქლ-მავალი და 15 ნავთიანი ვაგონი შიბაევის ქარხნის ვაგონებს და დაზიანდა 16 ვაგონი. ადამიანთაგანი არავინ დაშავებულა.

⁂ **სამრევლო სკოლის გახსნა.** 6 ნოემბერს, გახსნეს ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა კოლუბანის მღვთის მშობლის ეკლესიასთან. სკოლის კურთხევის შემდეგ ბლაღოჩინმა შაშიაშვილმა დამსწრეთ მიმართა შესაფერი სიტყვით სკოლის მნიშვნელობის შესახებ. ეს სკოლა ტფილისში მე-22 სამრევლო სკოლაა. სკოლაში ამ ჟამად იმყოფება 18 ვაჟი და ქალი, მათ შორის 26 ქართველია, 4 რუსი და 5 სომეხი. სკოლა მოთავსებულია პირველ მთის ქუჩაზე, პირველ სავაჟო გიმნაზიის ზემოდ, ერთ ნათელ, სუფთა და ფართო ოთახში. მას შეინახვენ უმთავრესად ეკლესიის ხარჯზე და ბავშვების სამოსწავლო გადასახადით, რომელიც თვეში 50 კაპიკს უდრის. სკოლის მასწავლებლად გიმნაზიის კურს-დამთავრებული ქალი, მღვდლის შვილი ს. დ. გვარამაძეა.

⁂ **ახალი წიგნები.** ჩვენ შევიტყვეთ, რომ მ. ლალიძე, რომელიც კარგა ხანია სახალხო წიგნებსა ჰბეჭდავს, ამ ჟამად სცემს ახალ სახალხო წიგნს „პოემების კრებულს“, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებული იქნება „იმედი“ ვ. ორბელიანისა, „აჩრდილი“ ი. ჭავჭავაძისა და „მომაკვდავის ჩვენება“ აკაკისა.

— რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „სახელმძღვანელო“ სამღვთო სჯულის სასწავლებლად შედგენილი სამრევლო და საერო სკოლებისათვის მღ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ, გამოცემა ძმ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა, ქ. ბათომში. წიგნი სუფთად არის დასტამბული და შიგ ჩართულია რამოდენიმე სურათი, შეიცავს 181 გვერდს და ღირს 30 კ.

⁂ **ახალ-სენაკი.** (სამეგრელო) სამრევლო სკოლები. ამ ჟამად გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სამრევლო სკოლების რიცხვი 192-მდე ავიდა. უმეტესობა ამ სკოლებისა ამ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადს გაიხსნა. დიდად სანუგეშოა ესეთი ზრდა სკოლების რიცხვისა. სწავლა-განათლების საქმე ამ მხარეში უფრო სისწრაფით წავიდოდა, რომ, „ახ. მიმოხილვის“ სიტყვით—ზოგიერთი აგენტები სამაზრო ადმინისტრაციისა ხელს არ უცარავდნენ და წინ არ ეღობებოდნენ ხალხის სურვილს. ეს აგენტები ხალხის განაჩენებს სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ გზას არ აძლევენ და ხალხს იძულებულს ჰყოფენ სულ სხვა სახის სკოლები გახსნან.

ამასთან, საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სახსარი არა აქვს, რომ ყველა სკოლებს სახელმძღვანელოები უყიდოს ხოლმე, ასე რომ უმეტესობა შაგირდებისა უწიგნოთ არიან. სასურველი, „ქართვ. შორის წერა-კითხვის საზოგადოება“ და აგრეთვე ყველა, ვისაც გული შესტკივა ჩვენში სწავლა-განათლების წარმატებისათვის, არ დაიშურონ თავიანთი წვლილი და ხსენებულ სკოლებს მოაწოდონ სახელმძღვანელოები, რვეულები და სხ. საჭიროა 2000 დედა-ენა, ამდენივე ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“, მისივე რვეულები და სხვ...

⁂ **ქარელი** (ქართლი). შემთხვევათ მკვლელობა. 4 ნოემბერს, როდესაც ერთი აქაური ქალი ჯვარის დასაწერად მიჰყავდათ ურმით, მაყრებმა ჩვეულებრივ დაიწყეს რევოლვერების დაცლა. ერთმა მაყართაგანმა ნ. გორდაზიანმა ამოიღო ბუდიდან რევოლვერი იმ აზრით, რომ მაღლა გაესროლა. ნასვამმა მაყარმა დასცალა რევოლვერი და იქვე მდგომ ქარელელ გლეხს კ. ზეინკლიშვილს კეფაში მოარტყა და იქვე სული გაანთხევინა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ **თეკლათი** (იმერეთი). მოუსავლობა. დ. ახალ-სენაკიდან ორი ვერსის სიშორეზე მდ. ცივის ორივე ნაპირზე მდებარეობს ს. თეკლათი, რომელიც განიყოფება ორ ნაწილად: ქვემო თეკლათი და ზემო თეკლათი. ამ სოფელში ორთა შუა რიცხვით 500 მოსახლე იქნება რომელნიც მომეტებულად მეურნეობას მისდევენ, მაგრამ როგორც „ცნ. ფ.“ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, თეკლათში ამ წელს მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. სიმინდს ავნო განუწყვეტელმა ზაფხულის წვიმამ, ხოლო ყურძენი, სექტემბერში მოსულმა ქარმა, თითქმის ერთიანად ძირს დაჰყარა.

— აბრეშუმეობა. დიდი ხანია, რაც მთელ სამეგრელოში სიმინდის ფასმა ძლიერ იკლო და ამიტომ თეკლათელებმაც, როგორც სხვებმა, უმთავრესი ყურადღება მიაქციეს მეაბრეშუმეობას. უწინ ამ საქმეს მარტო ქალები მისდევდნენ და ისინიც ძლიერ ნაკლებად, ახლა კი მამაკაცებიც დიდს მონაწილეობას იღებდნენ. ყიდულობენ თესლს ახალ-სენაკში (თუმცა ჩარჩ-ბერძნებს აქაც ვერ ასცდა საწყალი ხალხი), ასე თუ ისე მეაბრეშუმეობამ ცოტა ხელი მოუმართა ჩვენს ღარიბ ხალხს. თითო ოჯახმა 40—50 მანეთის პარკი გაჰყიდა დ. ახალ-სენაკში, სადაც ფუთი პარკი 15 მანეთამდი იყიდებოდა წელს და ოთხი-ხუთი თუმანი ღარიბ ოჯახისთვის უკვდავების წყაროა. სასურველია, რომ თეკლათელები უფრო მეყაითად მოჰკიდებენ ხელს მომავალ წელში ამ ფრიად სასარგებლო საქმეს.

— სწავლა-განათლების შესახებ ჩვენი სოფელი სხვა სოფლებთან შედარებით ძლიერ დაქვეითებულია. 500 მოსახლეს ერთი რიგიანი სკოლა ვერ დაუარსებიათ თუმცა როგორც ზემო ისე ქვემო თეკლათშიაც არსებობს სამრევლო სკოლა, მაგრამ ამ სკოლებს მარტო სახელი დარჩენიათ სკოლისა, სხვა არაფერი. ქვემო თეკლათში სკოლა ძველებურ ფაცხას წარმოადგენს, სადაც ყოველი მხრით უბერავს ქარი და საწყალი ბავშვები სიცივით კანკალობენ და მასწავლებლის მიერ ახსნილ-გაკვეთილს მოწაფეები ნება-უნებლიედ ვერ ითვისებენ. ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობას ამ სკოლისას ყურადღება მიაქცია სამოსწავლო სამზრუნველომ და 28 მ. გადასდო ამ სკოლისთვის. მაგრამ ეს ფული ძლიერ ცოტაა სკოლის რიგიან შესასწორებლად. ამ ფულებით სკოლა ახლად დაჰხურეს და იატაკი გაასწორეს, ოთახი კი ისევ პატარა დარჩა. უკეთესი იქნებოდა ჩვენ სოფელს 28 მ. კიდევ დაემატებინათ რამდენიმე თუმანი და სასკოლოდ ახალი სახლი გაეკეთებინათ, მაგრამ რომ ყოველ საქმეს მეთაურობა უნდა მეტადრე სოფლად და ჩვენ არავინა გვყავს, რომ გვიწინამძღვროს.

ჩხომი

⁂ **ს. ლანირი** (იმერეთი). ეკლესიის შეერთება. ჩვენს სოფელში ხმა დადის, ეკლესიებს შეერთებას უპირებენო. მაგრამ ეგ ხმა ცალიერ ხმათ რჩება ჯერ-ჯერობით. უნდა ვაღიაროთ, რომ სოფ. ლანირში სრულებით არ იყო საჭირო ორი ეკლესია. ხოლო ორი ეკლესიის დაარსება აქ გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ამ ხუთმეტი წლის წინათ აქ მცხოვრებთა შორის მოხდა დიდი განხეთქილება, რომელიც გამოიწვია რამდენიმე ვაჟბატონმა. ამათი ინტერესი იყო ის, რომ თავიანთ სახლში გაეკეთებინათ ეკლესია და ამიტომ გაჰყვეს ხალხი ორ ნაწილად. პირველმა ნაწილმა აირჩია ეკლესიისათვის სოფლის შუა ადგილი, იყიდა მიწა და დაიწყეს ეკლესიის აშენება. მეორეს ძველი ეკკლესია დარჩა. გახდა საჩივარი და საქმე იმით დაბოლოვდა, რომ ორივეს მისცეს ნება ჰქონოდათ თავ-თავის ეკლესია. აწ განსვენებულმა მღვდელ-მთავარმა, გაბრიელმა დიდი ზომები მიიღო ხალხის მოსარიგებლად, რამდენჯერმე მობრძანდა სოფელში და აუხსნა ხალხს, თუ რა სასურველია ძმური შეერთება, მაგრამ რაკი გლეხებს წერილობითი პირობა ჰქონდათ ჩამორთმეული, ეპისკოპოსის მამობრივმა რჩევამ ვეღარა გააწყორა. აშენდა ეკკლესია ორს ალაგას ერთმანეთიდან ორასი საჟენის მანძილზე, მაგრამ ამ საქმემ იმდენი ხარჯი მიაყენა გლეხებს, რომ მათ აღარ შერჩენიათ სასიმინდეში სარჩო სიმინდი და იყო ყოველ დღე მათი-კივილ ჩხავილი. ამის გამო აწ განსვენებულმა თ. ალ. დგებუაძემ მხურვალედ თანაუგრძნო გლეხებს და გაჭირვება შეუმსუბუქა ხუთასი მანეთის შეწირვით ეკლესიის ასაშენებლად. ეკლესიისათვის მხატვრობის მოპოვება თითონ იკისრა და კიდეც მშვენიერი მხატვრობა გააკეთებინა, რომელიც დაჯდა არა ნაკლებ ხუთასი მანეთისა. როგორც იქმნა, მოათავეს ეკლესია და აკურთხეს, მაგრამ აქ ასტყდა დიდი ბრძოლა.

მას აქეთ რამდენიმე წელიწადი გავიდა, ორივე ეკლესია დაძველდა, ყავრის სახურავი გაუფუჭდა და ისე გაუჭირდა ხალხს ეკლესიის დახურვა, რომ თითო წელიწადს ნახევარ-ნახევარ გვერდს ხურავენ. ხალხი მოწადინებულია, რომ შეაერთოს ეკლესიები, მაგრამ ჯერ არავინ თაოსნობს. იმედია თ. ნიკო ალექ. დგებუაძე იკისრებს ამ საქმის მოწყობა-რიგებას და როგორც სოფლის კეთილ მსურველი შეუმსუბუქებს მდგომარეობას საბრალო გლეხებს.

ივანე მიქაძე

⁂ **ს. კავთისხევი** (ქართლი). მეორე კვირაა, რაც კავთისხევის გარშემო მთები ჩამოთოვლა, ხოლო ბარად კი ეს ორი დღეა რაც თოვლი გვესტუმრა. თოვლს საშინელი ყინვა მოჰყვა და მთელი მცენარეულობა ერთბაშად მოტრუსა და გაახმო. აქამდის მივიწყებული ბოსლები სწრაფად დასუფთავდა და საქონელი ბაგაზე დაება. გლეხიც თითქოს ამ ჟამად თავის თავს მოსვენებულათ და უზრუნველათ გრძნობს, რადგანაც გარეთ საქმე აღარა კეთდება, მაგრამ მოულოდნელად და-

რღვევს ხოლმე იმის ცხოვრებას ხარჯების კრება. დღეს მიჩუმებული და ქეიფებში გართული კავთისხეველები შებორგდნენ და თავზარ-დაცემულები გახდნენ საკომლოსაგან. დღეს კავთისხევში საკომლო ცალკე იკრიბება და ჯარისკაცების არჩევნები ცალკეა. აქაურებისთვის მით უფრო საგრძნობელი გახდა საკომლოს მიცემა წრეულობით, რომ არ ვიცით რა მოსაზრებით აქაურმა მოხელეებმა რისთვის დაარღვიეს ის წეს-წყობილება, რომელიც აქამდის არსებობდა. უწინ ასე იყო: გაიწერებოდა მთელი წლის საკომლო ამორჩეული სანდო პირებისაგან იმ დროსვე როცა გადასახადი ფურცლები მოსდიოდათ. მაშინვე ირჩეოდა ფულის მომკრებები. ნახევარი საკომლო იკრიბებოდა გაზაფხულითვე და ნახევარიც შემოდგომით, ისე რომ ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილ ისე არ უმძიმდებოდათ, როგორც ამ წელს. ეხლა კი მთელი წლისას ერთათა სთხოვენ და აღარ იციან როგორ მოახერხონ. აქაური ფულის გამსესხებლების დღესასწაულის დღეც ეხლაა, აქამდის ...თუმანს თვეში ათ შაურად ...სხებდნენ, ეხლა სამი აბაზი გაადეს; ვინ არის აქ გლეხების წინაშე დამნაშავე? რასაკვირველია, ადგილობრივი მოხელენი.

კავთისხევის გზებზე ხომ აღარას ვიტყვით, რადგანაც ბევრჯელ მოვაგონეთ ჩვენი გაზეთის საშუალებით აქაურს მოხელეებს, მაგრამ გზები ისევ იმ მდგომარეობაშია, მეტადრე ამ თოვლ-ჭყაპების დროს ხომ ადამიანს გავლა არ შეუძლიან, ისეა მირეულ-მორეული აქაურობა; ან კი სადა სცალიანთ აქაურ მოხელეებს საქმის გასაკეთებლად. რაც ღმერთს დღე გაუჩენია სულ ერთავათ ან დუქნებში ატარებენ დროს და ან წირვა-ქორწილ-ნათლობებში და თარხალალოს გასძახიან.

წელს ღვინის მოსავალი საშუალო იყო და ღვინოებიც კარგი დადგა.

ივ. კავთელი

*** **ს. ღილიკაური** (იმერეთი). უსკოლობა და მისი საჭიროება. როდის იქნება, რომ ჩვენც გვეღირსოს სკოლა? ამ სიტყვების დაწერა და საქვეყნოთ გამოაშკარავება სასირცხვოთ მიმაჩნია, მაგრამ, რავქნა, როცა მოთმინება დავკარგე?! ორას კომლს კარგათ შეძლებულ მცხოვრებთ, ნუ თუ არ შეუძლიანთ ეს ნაკლი თავიდან აიცდინონ და დიდი ხნის წადილი სისრულეში მოიყვანონ! რასაკვირველია, შეუძლიანთ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „გედი კიბო და თევზი", ყველა თავისკენ მიიწევს და ტვირთი კი იქვეა. საჭიროა კარგი მეთაური, მაგრამ ვინ არის პატრონი!?

ამას წინად, ერთმა დროებით ამ სოფელში მცხოვრებმა, კითხვა აღძრა უსკოლობაზე გაზეთის საშუალებით და უსაყვედურებდა ადგილობრივ მღვდელს დაუდევრობას და მოუმდომლობას სკოლის დაარსების შესახებ.

ამ ჟამათ მღვდელი თუმცა კი ბევრს მეცადინობს ამ საჭირო საქმეს თავი მოაბას, მაგრამ ერთი კაცი ას კაცში წამალია. ბავშვები კი იმდენია, რომ ორი სკოლაც რომ იყოს, ძლივს დაეტევიან. რასაკვირველია, რომ ზოგი მათგანი პატარაობიდანვე უწესოებას, ჩხუბს და ლოთობას ეჩვევა, ვინ არის პატრონი, მათი კეთილ გზაზე დასაყენებლად, შრომა მიიღოს?! ზოგიერთნი კი ვისაც სწავლის გემო გაუცვნია, თავიანთი ბავშვები დ. ზესტაფონში დაჰყავთ ათი-თორმეტი ვერსის მანძილზე და აბა წარმოიდგინეთ რა გასაჭირი იქნება მოწაფისათვის იმ სიშორეზე სიარული ზამთრის დღეებში?

მე ვურჩევ საზოგადოებას და კარგიც უნდა იყოს, რომ ამოვირჩიოთ საიმედო, სანდო კაცები და მივანდოთ პოლიციის შემწეობით მოახდინონ ყრილობა და შეძლებისა და გვარად გაწერონ სკოლისათვის გადასახადი ფული, რომლის მოკრებაც აგრეთვე დაევალოთ იმ პირთ.

— **ბავშვის დაშავება**. 4 ამ თვეს, აქაურ აზ. ს—ძეს ხუთი წლის ქალი აივნიდან გადმოუარდა და ფეხი მოიტეხა. დედმამის საცოდაობით ქვაც კი ატირდებოდა; იგივე ბავშვი ამას წინად მდუღრით დაეფუფქათ და დიდი მეცადინეობით გადაარჩინეს ულმობელ სიკვდილს. ახლავიდანვე გაფრთხილებაა საჭირო თორემ ურემი რომ გადაბრუნდება, გზის ძებნა მერე გვიანღაა.

— **გონება-შერყეული ხაინები**. ამ ჟამად ერთი ჭკუა-შეშლილი მთელ ქვეყანას აწუხებს. ეს კაცი ყველასაგან ცნობილია. როგორც გიჟი, რისთვისაც მუდამ საპატიმროში იმყოფებოდა, ეხლა გამოშვებულია და თავ-ზარს სცემს ყველას: ძარცვავს, ცემს და ვინ იცის რას არ შვრება?! წინააღმდეგობასაც ვერავინ უწევს, რადგან სასიკვდილოდაც არავის ზოგავს და ყველას ახსოვს, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ წინააღმდეგობის გულისთვის ერთი ბელაგორელი კაცი თავისვე ცხენზედ გადაჰკიდა და გაუშვა ცხენი, თითონ კი არხეინად თარეშობდა. საკვირველია, რატომ ყურადღებას არ მიაქცევს, ვისიც ჯერ არს.

ნარ-ჩინი

*** **ბაკურიანი** (ბორჯომის ხეობა). საკვირველი მკვლელობა. წარსული წლის 6 აგვისტოს ს. ბაკურიანიდან წამოვიდა სურამელი მოვაჭრე ურია დავით კოჟიაშვილი საქონლით დატვირთულის ცხენით სურამში. მან გაიარა ბაკურიანის ეკკლესიასთან, სადაც ხალხი იყო შეყრილი წირვის მოსასმენად (ფერისცვალება დღეს). ყველამ დაინახა მიმავალი ურია და ბევრმა მათგანმა კიდევაც სთხოვა მალე დაბრუნებულიყო და მოეტანა საჭირო. ამის შემდეგ ხსენებული კოჟიაშვილი ვეღარავინ ნახა ვერც ბაკურიანს ქვევით გზაზე ჩავლილი და არც უკან ბაკურიანში დაბრუნებული; რადგანაც კოჟიაშვილმა დაიგვიანა და აღარ მოვიდა სახლში, მშობლებმა დაუწყეს ძებნა, მაგრამ ამაოდ ჩაიარა ამათმა შრომამ, დაკარგული შვილი ვეღარ იპოვნეს. საცოდავი დედა საშინელის ხმით ღრიალებდა გზაგზა, უძახოდა ტყეში შვილს; საცოდაობა იდგა ს. ბაკურიანში, როდესაც საბრალო დედა ავიდა და შვილი ვერ ნახა. მთელი სოფელი თავს დაეხვა, ანუგეშებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ შვილს გიპოვნითო. ბორჯომის ბოქაულის განკარგულებით, სამმა სოფელმა: ბაკურიანმა, ცემმა და წაღვერმა სამი დღე ეძებეს ტყეში, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, უბელო ცხენს გარდა. ამისმა დანახვამ უარესად გაამწარა დედა, მივარდა ბოქაულს და სთხოვა აღმოეჩინა მკვლელები იმისი შვილისა, ამასთანავე უჩვენა ერთ სურამელ ურიაზე, რომელიც ემტერებოდა კოჟიაშვილს და ციდევაც დამუქრებოდა სიკვდილს. ბოქაულმა ოქმი შეადგინა, გადასცა სურამის გამომძიებელს, მაგრამ გამოძიებითაც ვერ აღმოჩნდა ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი. ხუთ ამ თვეს მოვიდა ვიღაც იმერელი მშობლებთან და გამოუცხადა: „თუ მომცემთ ოც მანათს, მკვდარს გაპოვნინებთო". მანამ ეს მთხრობელი გამოვიდოდა, დაკარგული კაცის ცოლმა უკვე ორი კვირის წინად გააგზავნინა რაბინს ქაღალდი, რომ ნება მოეცათ გათხოვებისა, რადგან ქმარი უგზო-უკვლოდ დამეკარგაო; — მთხრობელი აჩვენეს ბოქაულს, ბოქაულმა შეიპყრო და წაიყვანა იმ ალაგას, სადაც ეგულებოდა დაკარგული კაცი. მთხრობელმა მიიყვანა და დააყენა ერთ ვიღაც მკვდარზე, რომელიც საბანში იყო შეხვეული და ჩაფლული და რომლისაც მარტო ძვლები-ღა სჩანდა. ბიძამ დაკარგულის კაცისამ იცნო თავისი დისწული ტანისამოსზე და საბანზე. ბოქაულმა მთხრობელი შეიპყრო და აცნობა სურამის გამომძიებელს. გამოძიება ხელ-მეორედ დაიწყო და იმედია მკვლელებს აღმოაჩენენ.

ზეუბნელი

# გამოსადეგი ცნობა

**შავი ჭირის წამლობა**. შავი ჭირის წამლობა ჯერ-ჯერობით მედიცინისაგან სავსებით არ არის გამოკვლეული და ამიტომ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთა ზომებს, რომლებიც მოქმედობენ შავი ჭირის წინააღმდეგ. კარგად მოქმედობს ავადმყოფზე თბილი წყალი 24° რეომურის ტერმომეტრით, ალკოჰოლი, სხვა-და-სხვა ცხარე სასმელები, ნოყიერი წვნიანი საჭმელები და სხ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავადმყოფის სისუსტეს, რადგანაც ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ სრულიად გამოსადებული ავადმყოფი უეცრივ წამომდგარა თუ არა ქვეშაგებიდან, გულის ფრიალი მოსვლია და მომკვდარა. გამოსადებული უნდა ფიზიკურს მუშაობას ერიდოს. სამკურნალოში ავადმყოფის წამლობა უფრო მოხერხებულია, რადგანაც იქ ყველა პირობები დაცულია და ექიმსაც ხშირად უხდება ავადმყოფების ნახვა და ხელ ახალი ზომების მიღება.

**მოწყობილობა**. შავ ჭირს ძალიან ავრცელებს უხეირო სანიტარული პირობები, მაგალითად: ტალახი, შიში, სიბნელე და უჰაერობა. მზის სხივებს დიდი გავლენა აქვს მიკრობებზე. როცა მათ სხივი პირდაპირ ეცემათ, მაშინვე იხოცებიან. ხოლო თუ ისეთი ჭუჭყიანი და გაგოზილი ტანისამოსი აცვია ადამიანს, რომელშიაც სხივი თავისუფლად ვერ შეატანს, მაშინ მიკრობები მთელი ცხრა თვე ცოცხლობენ და მრავლდებიან. მიკრობებზე სასიკვდილოდ მოქმედობს გახსნილი სულემა 1.1000, 5% და გახსნილი კარბოლის სიმჟავე. ამ გახსნილის წამლებით უნდა ისხუროს ტანისამოსზე და თუ ავადმყოფის წამლებს სულაც დასწვავენ, უკეთესია. იმ სადგომებშიაც, რომლებშიაც ავადმყოფები იყვნენ მოთავსებულნი, კედლები თეთრად უნდა გაილესოს, დახრჩოლდეს გოგირდი და მოსხურებულ იქმნეს სულემა და სხ.; თაგვებიც ავრცელებენ შავ ჭირს; ამ სენით ქუჩებში იხოცებიან, მერე მკვდრებს ცოცხლები სჭამენ, შეაქვთ ავადმყოფობა სახლებში. ბუზებიც ძალიან ავრცელებენ შავ ჭირს.

## ყურმოკრული საუბარი

— ვინ არის ეს ქალი, ასე რო ანჩხლობს?

— დიასახლისი გახლავთ.

— ჰოო!.. მაშ, ეგა მაგის ქმრის ბრალი!

— დიახ, დიახ,- მაგ ქალს უშედუ-

რი ხასიათი აქვს. მე კი ჩემ თავზე გამომიცდია.

— თქვენა? როგორ?

— მაგის ქმარი გახლავართ.

—

თეატრის კასასთან.

— ყველა ბილეთები გაყიდულია.

— ფუ, დალახვროს ღმერთმა!

— ცოტა მოითმინეთ, პირველი მოქმედება მოთავდება და მაშინ ბევრი იქნება თავისუფალი ადგილი.

— რატომ გგონიათ?

დღეს ახალ პიესას თამაშობენ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ნოემბერი

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს ბომბეის საპრეზიდენტოში 8 ოქტომბრიდგან შავის ჭირით 5,674 კაცი გახდა ავად, ხოლო გარდაიცვალა—4221 კაცი; წარსულ კვირასთან შედარებით 113 კაცით მეტი გახდა ავად, ხოლო 208 კაცით მეტი გარდაიცვალა.

**ტანჟერი.** საფრანგეთის ჯარის სამი კოლონა გაჰგზავნეს იმ ადგილას, სადაც აჯანყებაა, მაროკოს საზღვარზედ.

**ათინა.** კრიტელები და ათინისა და პირეის მცხოვრებლები ემზადებიან, რომ იმ დღეს, რა დღესაც ოფიციალურად გამოცხადებული იქნება საბერძნეთის ბატონიშვილის კრიტის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნის ამბავი, მანიფესტაცია მოახდინონ.

**ალიუტი.** სამხედრო მინისტრმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც სიხარულით მიეგება რუსეთის იმპერატორის წინადადების შეიარაღების შემცირების შესახებ და დაუმატა: „არც ერთი ქვეყანა არ დათანხმდება შეარყიოს ხელ-ფეხი, მით უმეტეს ინგლისი, მაგრამ მაინც კონფერენციას შეუძლიან თანხმობა ჩამოაგდოს და მოსპოს ურთიერთა გამწვავების პოლიტიკა, რომელსაც დრო გამოშვებით მიჰმართავს ხოლმე ერთ-ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჯერჯერობით მთავრობა სდარაჯობს ინგლისის ინტერესს, ინგლისის ფლოტი უძლეველი უნდა იყოს, იგი იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ შესძლოს გაუმაგრდეს რომელსამე მოსალოდნელს კოალიციას. მთავრობა, ვიდრე მოითხოვდეს დიდს მსხვერპლს, საჭიროების მიერ გამოწვეულს, დაწვრილებით შეისწავლის ქვეყნის დაცვის მთელს გეგმას“.

8 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 7 ნოემბერს, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის 50 წლის იუბილეის წინა დღით, პეტერბურგში მოვიდნენ: ავსტრიიდან—დეპუტაცია ავსტრიის მე-26 ქვეითი ჯარის და გერმანიის—2 დეპუტაცია: პირველი პრუსიის პირველ არტილერიის ჯარისაგან და მეორე—პრუსიის 1-ლ შლეზვიგის ჯარისაგან.

უმაღლესი რესკრიპტი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძის სახელზე თავდება ასე: „დღევანდელ სასიხარულო დღეს, თქვენი სახელის პატივისცემის სურვილით, მე ბრძანება მივეცი დიდი ხნიდანვე თქვენს გულთან მახლობელ გვარდიის არტილერიას მოგცეთ ხოლმე იგივე სალამი, როგორიც დაწესებულია ჩემთვის. დაე ეს პატივი შეიქმნეს ნიშნად ჩემის განუსაზღვრელის პატივისცემისა თქვენის უმაღლესობის, საიმპერატორო სახლის უპირველეს და უსაყვარლეს წევრისადმი, რომელიც გვიჩვენებს სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის დიად მაგალითს“. ნამდვილზე მისი დიდებულების ხელით აწერია: „სულით და გულით მსურს-რა თქვენი ჩემთან მრავალჟამიერ უმახლობელესად თანამშრომლობა, დავშთები სამარადისოდ თქვენი პატივისმცემელი, მადლიერი და გულით მოყვარული ძმისწული ნიკოლოზი“.

შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიისაგან: „23 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე კომისიამ მიიღო შემდეგი ცნობები ანზონში შავი ჭირის მოძრაობის შესახებ: 23 ოქტომბერს დარჩა 14 ავადმყოფი, 4 ნოემბერს—2, დანარჩენებიდან 4 მოკვდა, სხვები განიკურნენ. ყველა მომიჯნავე ადგილებში და რუსეთის იმპერიის საზღვრებში შავი ჭირის ჭაჭანებაც არ არის.

# განცხადებანი


იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „

ალექსანდრე ეპისკოპოსი 2 „

სპარსეთის მეფე და ქართველი ტომი . . . . 2 „

პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ცალს ას გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველს მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—19)


# რკინის გზის მიმოსვლა

| ბათომიდან ბაქომდე | № 2 გადის | № 4 გადის |
|---|---|---|
| | დილით | საღამ. |
| ბათომი . . | 8.30 | 8.40 |
| სამტრედია . | 11.48 | 12.32 |
| რიონი . . | 12.46 | 1.44 |
| ყვირილა . . | 1.44 | 2.52 |
| შორაპანი . . | 1.55 | 3.07 |
| მიხაილოვი . | 5.12 | 6.12 |
| გორი . . . | 6.28 | 7.31 |
| მცხეთა . . | 7.57 | 9.11 |
| ტფილისი . . | 9.15 | 11.20 |
| აღსტაფა . . | 12.01 | 2.50 |
| ელისავეტოპოლი | 3.02 | 6.22 |
| ევლახი . . | 5.00 | 8.41 |
| აჯიქაბული . . | 9.30 | 1.48 |
| ბაქო . . . | მოდ 12.59 | 5.42 |

| ბაქოდან ბათომამდე | № 1 გადის | № 3 გადის |
|---|---|---|
| | დღისით | საღამ. |
| ბაქო . . . | 4.15 | 10.50 |
| აჯიქაბული . . | 7.55 | 2.42 |
| ევლახი . . | 12.25 | 7.49 |
| ელისავეტოპოლი | 2.50 | 10.28 |
| აღსტაფა . . | 5.44 | 1.54 |
| ტფილისი . . | 9.20 | 6.10 |
| მცხეთა . . | 10.01 | 7.06 |
| გორი . . . | 11.42 | 8.55 |
| მიხაილოვი . | 1.06 | 10.29 |
| შორაპანი . . | 3.40 | 1.08 |
| ყვირილა . . | 3.58 | 1.26 |
| რიონი . . . | 4.57 | 2.32 |
| სამტრედია . | 5.55 | 3.55 |
| ბათომი . . | მოდ 8.52 | 7.00 |

| ტფილისიდან ბორჯომამდე | გადის № 5 |
|---|---|
| | დღისით |
| ტფილისი . . | 3.10 |
| მცხეთა . . . | 3.58 |
| გორი . . . . | 5.49 |
| მიხაილოვი . . | 7.20 |
| ბორჯომი . . . | მოდ. 8.30 |

| ბორჯომიდან ტფილისამდე | გადის № 6 |
|---|---|
| | ღამით |
| ბორჯომი . . . | 3.25 |
| მიხაილოვი . . | 4.55 |
| გორი . . . . | 6.08 |
| მცხეთა . . . | 7.39 |
| ტფილისი . . | მოდ. 8.15 |

| სამტრედიიდან ფოთამდე | № 15 გადის | № 17 გადის | № 19 გადის |
|---|---|---|---|
| სამტრედია . | 4.40 | 11.55 | 7.30 |
| აბაშა . . | 5.12 | 12.27 | 7.59 |
| ახალ-სენაკი . | 5.50 | 1.10 | 8.32 |
| ჭალადიდი . | 6.55 | 2.13 | 9.33 |
| ფოთი . . | მ. 7.30 | 2.50 | 10.08 |

| ფოთიდან სამტრედიამდე | № 14 გადის | № 16 გადის | № [illegible] გადის |
|---|---|---|---|
| ფოთი . . | 11.45 | 6.15 | 8.55 |
| ჭალადიდი . | 12 30 | 6.58 | 9.35 |
| ახალ-სენაკი , | 1.40 | 8.00 | 10.35 |
| აბაშა . . | 2.15 | 8.30 | 11.05 |
| სამტრედია . | მ. 2.42 | 8.55 | 11.30 |


**Годъ второй.** ОТКРЫТА ПОДПИСКА **Годъ второй.**

на **1899** годъ

*на еженедѣльную литературно-политическую и научно-популярную газету*

## „РОССІЯ И АЗІЯ“

(Подписной годъ съ 1 Ноября 1898 г. по 1 Ноября 1898 г.)

Годовая цѣна безъ доставки **5 руб.**, съ доставкой и пересылкой—**6 руб.**, заграницу **7 руб.**, за полгода безъ доставки **3 руб.**, съ доставкой и пересылкой **4 руб.**, заграницу—**5 руб.** Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ по 3 руб. въ два срока, или по 2 руб. въ три.

Адресъ Редакціи: *КІЕВЪ. Паньковская, д.* **№ 12.**

Газета дастъ въ теченіе года: 1) 50 номеровъ «Научно-литературнаго отдѣла», посвященнаго Востоку, еврейству, инородцамъ, **Кавказу**, Туркестану и Сибири и 3) 4 книги приложеній подъ названіемъ „Альманахъ Россіи и Азіи», въ которой войдутъ;

I. **Арменія**. Сборникъ статей различныхъ Русскихъ и иностранныхъ авторовъ объ Арменіи, ея исторіи, литературѣ о отрывки изъ произведеніи Армянскихъ писателей.

II. **Спиноза.** Біографія и лучшія произведенія знаменитаго Еврейскаго философа-пантеиста съ критическимъ комментаріемъ.

III. I томъ «Полнаго Собранія сочиненіи» знаменитаго романнста Георга Еберса, автора романовъ «Дочъ Египетскаго царя», «Императоръ» и пр.

IV. **Моріеръ.** Мирза Хаджи-Баба Исфагани. Новый переводъ съ Англійскаго по порученію Редакціи. (Эта книга была переведена въ сороковыхъ годахъ Барономъ Брамбеусомъ и представляетъ изъ себя романъ, состоящій изъ забавныхъ, юмористическихъ сценъ изъ жизни Востока вродѣ Жильблаза Лесажа),

Всѣ годовые подписчики „Россіи и Азіи“ за прошлый годъ будутъ получать изданіе цѣлый годъ БЕЗПЛАТНО. Оставшіеся экземпляры „Россіи и Азіи“ за прошлый годъ новые подписчики могутъ получить за 3 руб.

Объявленія—10 коп. строка корпуса.

(7—5) Редакторъ-издатель прив. доц. **А. Н. Грекъ**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Ноября 1898 г. სტ. „ცნ. ფურ.“ (ვ. ჯუნიაძე), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბერიძე.